აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა

და

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

თანამშრომლობის

მემორანდუმი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „საბჭო "), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, დ. გაბაიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „ხელოვნების უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი მისი რექტორის, მ. ჭიჭილეიშვილის სახით, შემდგომში მხარეებად წოდებული, თანხმდებიან Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის - „რეგიონალური უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში" (შემდგომში „პროექტი") ფარგლებში, რეგიონის განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო საკითხებში თანამშრომლობის მიზნით, გააფორმონ მემორანდუმი

მუხლი 1

მხარეები თანხმდებიან:

1.1 ითანამშრომლონ პროექტის ფარგლებში, პროექტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტების მოსამზადებლად და განსახორციელებლად;

1.2 ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას;

მუხლი 2

2.1. ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას და თანხმდებიან საგნმანათლებლო სფეროში რეგიონის როლის გაძლიერების მიზნით ერთობლივად მოახდინონ/უზრუნველყონ:

2.1.1. ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, საკვალიფიკაციო კურსების, საზაფხულო სკოლების და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;

2.1.2. ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში კონსულტაციის, საექსპერტო მომსახურების გაწევა.

2.1.3. ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში ინფორმაციის, მასალებისა და კვლევითი პუბლიკაციების გაცვლა;

2.1.4. ერთობლივი მოკლევადიანი პროექტების განხორციელება.

2.1.5. ურთიერთშეთანხმების შესაბამისად სხვა სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობა.

2.1.6. უნივერსიტეტის მესამე მისიის ფარგლებში რეგიონის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი ატივობების მხარდაჭერა.

2.1.7. შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეუწყონ სტუდენტების სტაჟირების გავლას ან/და დასაქმებას.

მუხლი 3

3.1. თანამშრომლობა მხარეებს შორის განხორციელდება ურთიერთთანასწორობის პრინციპების დაცვით.

3.2. მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე. ყოველ კონკრეტულ ისეთ აქტივობაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება ფინანსებთან, მხარეთა შორის გაფორმდება ცალკე ხელშეკრულება.

მუხლი 4

4.1. ამ მემორანდუმის ინტერპრეტაციისა და განხორციელებისას მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკებების გზით;

4.2. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობების განხორცილების მიზნით, მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისთვის, შესაძლოა მხარეთა შორის გაფორმდეს დამატებითი წერილობითი სახის შეთანხმება;

4.3. მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

4.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 37

ხელმოწერა:
28.09.2021

დ. გაბაიძე
თავმჯდომარე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმი, ვაჟა-ფშაველა/ზურაბ გორგილაძის ქ. 19/32

ხელმოწერა:
28.09.2021

მ. ჭიჭილეიშვილი